ნიანგი

10

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 54-ე წელი, (№ 1500). მაისი. 1977. ფასი 20 კაპიკი.

— ამხანაგებო! ვინაიდან ერთმანეთს ველარ ვხედავთ, საწარმოო თათბირი დამთავრებულია!

„ეკარი ჭეროს, ეკარი ჭეროს!..“

„დაბადება“

უამრავი არაკი და სტატია იწერება მფრინავი თეფშების შესახებ. ერთ დროს ადამიანების გარკვეული ნაწილი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ თავისი აზროვნება „თეფშებზე“ დაალაგა და აქა-იქ აფრიალა. იყო თავბირდალეწვამდე კამათი, დაფრინავენ თეფშები, თუ არა. მაგალითად, კახეთში გაკვირდნენ: რაო, თეფშები ხაშლამით დაფრინავენო? ქუთაისში, თეფშის ფრენა კი არა, სერვიზის ფრენა უნახავთ. რაჭიდან კი წერილი წერილზე მოდის, საწყობებიდან მიფრინავენ საუზმისა და სადილის თეფშები და ვერაფრით ვერ ვახერხებთ მათ ხელში ჩაგდებასო.

მფრინავი თეფშის საობსერვაციო-ტექნიკურმა მონაცემებმა იმდენად დაინტერესა ნიანგი, რომ სარედაქციო კოლეგიის ხარჯებით ააგო თეფშის კონსტრუქციისმაგვარი ხომალდი „საინი-1“. „საინი-1“ არავითარ მწვანე სითხეს არ ტოვებს, ის ლურჯი მელნით იკვლევს გზას ქაღალდის ფურცლებზე. დანარჩენი მონაცემები ისეთივე აქვს, როგორც მფრინავ თეფშებს. „საინ-1“-მა იქს დღეს, იგრეკ საათსა და ბეტა წუთზე წარმატებით გაიარა სატირულ-იუმორისტული გამოცდა და გავიდა ფელეტონის ორბიტაზე.

პერიგეა—„დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან...“

„საინ-1-ის შეპირაპირება **სიღნაღის რაიონის წნორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელ სპეციალიზებულ კომპლექსთან** ლოგიკური იყო, რადგანაც „საინ-1“-ის პროფილი თეფშ-საინებზე ხორცის დალაგებაა. ხორცი კი თეფშებზე მაშინ დალაგდება, როცა წნორის მეცხოველეობის კომპლექსი დროულად დასრულდება. ხომალდის აპარატურამ ფილიგრანული სიზუსტით გამოიკვლია, რომ წნორის მეცხოველეობის კომპლექსი უნდა დამთავრებულიყო 1976 წლისათვის. ახლა კი 1977 წლის მაისია და მაინც მშენებლობის პროცესშია.

„საკსაქმელიორაციის“ წნორის მშენებლობის სამმართველომ მხოლოდ 2568 ჰექტარი მიწის განმარილიანება შესძლო, გეგმა კი 8600 ჰექტარია, სადაც შეიქმნებოდა პირუტყვის საკვების უზარმაზარი ბაზა. სხვადასხვა ზომის ფოლადის მილების უქონლობამ სამუშაოები ჩამოარჩინა. ამაში მარტო მშენებლები არა სცოდავენ, ტუუიან ისინიც, ვინც ფონდირებული მილების შემოტანას დაჰპირდნენ.

ალაზნის ველის დამარილებულ მიწებს განმარილიანება სჭირდება! მერე? მერე კი ამ მიწებზე მეხორცული ჯიშის პირუტყვი უნდა გაემრავლებინათ, მაგრამ სადა ჩანს ჯიშიანი პირუტყვი? ამაზე უნდა ეფიქრათ **საქ. სსრ სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს** და დროულად უნდა უზრუნველეყოთ ჯიშიანი პირუტყვის შემოყვანა, ან მისი მოშენება, სათანადო კვლევითი ინსტიტუტებისა თუ სხვა დაწესებულებების დახმარებით. როგორც აღვნიშნეთ, კომპლექსის მშენებლობა 1972 წელს დაიწყო, ახლა კი 1977 წელია ამ ხანში ჩვენი მეცნიერები მამონტის ჯიშის ძროხებს მიიღებდნენ. (ხომ გაგიგია, „თუ გული გულობსო“...)

ამჟამად, წნორის მეცხოველეობის კომპლექსს ჰყავს 1200 სული მეხორცული ჯიშის ძროხა. განმარილიანებული მიწები კი საშუალებას იძლევა ჰყავდეთ 7500 ჯიშიანი პირუტყვი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო წნორელებს ჰპირდება, რომ 1977 წლიდან მათთვის გამოყოფილია საკმაო რაოდენობის ჯიშიანი პირუტყვი.

„ღმერთმა ჰქნას, ტყუპი მოიგოს“, — თქვეს წნორელებმა.

ენამთის უენოგის აპოგეა

წნორის მეცხოველეობის კომპლექსი ძირითადად გაშენებულია ენამთაზე. ამ ადგილისათვის ხალხს ენამთა იმიტომ უწოდებია, რომ მთა გაგრძელებულია მოქლესილი კაცის ენასავით.

ენამთის კომპლექსის მშენებლობას აწარმოებს **სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის № 4 ტრესტის წნორის მოძრავი მექანიზებული კოლონა № 6,** რომელსაც 1977 წლის დამდეგისათვის უნდა შეესრულებინა 7.600.000 მანეთის სამუშაოები, ფაქტიურად კი შეასრულა 7 მილიონი მანეთისა. მათაც ექნებათ გეგმის შეუსრულებლობის არგუმენტები: ესაო, ისაო!.. მაგრამ საინტერესოა „ისა“, № 6 კოლონა მშენებლობის უხარისხობის დასამართლებლად რა არგუმენტებს მოიტანს, და თუ მოიტანს, მათი აზრი გაბათილდება საკვებურის კედლებით, რომელიც მსხვილ სამშენებლო ფრაქციით არის ნაშენი და ერთიანად დანახერტებულია!

კედლის გარეთ გამოტანილი გათბობის რადიატორის მილი ყველას აფიქრებინებს, მეცხოველეობის კომპლექსში ულტრამოდის წყარო აუშენებიათო. თურმე ნუ იტყვით, წყარო კი არა, ვენტპუნქტის შენობა ყოფილა. ნეტავი მშენებლებმა აგვიხსნან, ოთახის გარეთ, ღია ცის ქვეშ რატომ არის გამოტანილი ცრემლდადენილი მილი. ალბათ, შენობის დასაშლელად. აბა, სხვა სიკეთეზე ფიქრიც ზედმეტია!

მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობის დაწყებამდე გეოლოგებს ფეხიც არ დაუსვლელიათ ენამთის ატმოსფერულ-გეოლოგიურ წყლებში, არ გაუსინჯავთ მისი დებიტი. ჰოდა, ამიტომაც სენაჟის ორმოებს შორის გამყოფი კედლები ძირგახვრეტილი ტანკებივით იძირებიან. გეოლოგიური წყლების სიუხვემ, ღამის არის, პირთამდე გაავსოს „ნორიოს“ ბუნკერი. თუმცა დაუპატიჟებელ წყალს ფოლადის ფილებით იცავენ, მაგრამ ეს არ შველის, წყალი მაინც ეონავს... ფაქტის წინაშე მდგარი პროექტის ავტორები უკან იხევენ, სადრენაჟო არხებს გეგმავენ, ალბათ, თავს ინუგეშებენ — „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“.

ენამთაზე აშენებულია პირუტყვის ორი სადგომი, რომელთა სიგრძე ათასი მეტრია. იგი გადახურულია ვანტური წესით, ანუ ძელებზე დაჭიმული ლითონის ბაგირის კონსტრუქციით, რაზეც გაწყობილია შიფერი. ამგვარი გადახურვა უნიკალურად ითვლება. როდესაც ვანტური წესით გადახურეს სადგომები, ამოვარდა ქარიშხალი და ორი ათასი კვადრატული მეტრი შიფერი მფრინავი თეფშებივით ჰაერში აფრიალა. გამოდის, რომ ენამთის მეტეოროლოგია, ფარდულის ვანტური კონსტრუქცია და გადახურვის ხარისხი ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. ამაზე ეჭვი იმიტომ იბადება, რომ ახლომახლო მდებარე სხვა შენობების გადახურვა გადარჩენილა.

ჩვენ უამრავი მაგალითი გვაქვს სტიქიის მოულოდნელობაზე. ჰოდა, კონსტრუქტორებს, მეტეოროლოგებსა და ყველას, ვისაც ეს ეხება, უნდა გავთვალისწინებინათ, რომ ენამთის ქარი ენას, როგორც მოესურვებოდა, ისე დაატრიალებდა.

ქარიშხალმა არც მაღალი ძაბვის დონდლოდ დასმული რკინა-ბეტონის ბოძები დაინდო და მიწაზე ლოთი კაცებივით მიაწვინა. ამბობენ, რკინა-ბეტონის ბოძები მაღალ ძაბვას უძლებენო. ნეტავი, მართალი გამომდგარიყო!

ერთი კი ფაქტია: ასეთი უნიკალური მშენებლობის დროს პროექტის ავტორებს უნდა დაეგეგმათ ქარსაცავი ზოლები, ან არადა, აეგოთ ქარის წისქვილები, გრიგალის ენერგიას მაინც გამოიყენებდნენ.

COLORADO-ს „ხოპო“

წნორის მეცხოველეობის კომპლექსის მანქანა-დანადგარები შეყიდულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ „კორპორეიშენ ჯოლორადო-სიტი“-დან.

არის ასეთი აზრი: „მანქანა-დანადგარების მონტაჟი შესრულებულია პროფესიული დონით, თუმცა ზოგიერთ დანადგარს ვერ შეესრულებია თავისი მოვალეობა და ამერიკელ სპეციალისტებს იგი გადაუკეთებიათ. ამის მაგალითია სასილოს ბუნკერი ტრანსპორტიორის გარსაცმის შემოღადრა, — იმის გამო, რომ სენაჟისგან იქეიფებოდა ტრანსპორტიორის ღვედი. უაზროდ გადმოყრილი სენაჟი ქარისგან იფანტება, სამაგიეროდ ტრანსპორტიორი მუშაობს. კარგი იქნებოდა, რომ ამ ხერხით მიღებული ეკონომიის გარკვეული პროცენტი გადაეგზავნათ იმ ამერიკელი სპეციალისტებისათვის, რომლებმაც დანადგარის დამახინჯება მოისაზრეს.

ქიზიყური ქარი ამერიკული ფირმის ბუნკერ BUTLER-ს შეერკინა და თავი შეუბრიცა. საინტერესოა, ზევიდან ჩამოკონწიალებულმა საკვების მიმწოდებელმა მილმა შებრიცა, თუ ქარიშხლის სიძლიერემ? ერთი კი ცნობილია: სხვა ბუნკერები გრიგალს გადაურჩნენ, რადგანაც მის ზონაში არ მოხვდნენ. აი, ქარსაფარი რომ ყოფილიყო, ხომ არ დაზიანდებოდა ვალუტაზე შეძენილი დანადგარი?!

როგორც ჩანს, ამერიკელ სპეციალისტებს მთლად ჭკუიდან გადასარევი მანქანა-დანადგარების მონტაჟი არ ჩაუტარებიათ, არც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა უთქვამთ. მახვილგონიერ ქიზიყელებს ეს არ გამოპპარვიათ და ამერიკელებისათვის უთქვამთ: „ამ დანადგარებს თქვენ თვითონ რატომ აღარ ხმარობთო?!“

„საინი-1“-ის კვლევის აპარატებმა გაიანგარიშეს, რომ ახლო მომავალში **წნორის მეცხოველეობის კომპლექსის** მშენებლობის ხარვეზები გამოსწორდება, დამთავრდება გეგმით გათვალისწინებული ნაგებობანი და სრულად შეევა ექსპლოატაციაში, საქართველოს არავეგეტარიანელებს კი დიდი თეფშებით გამოუგზავნიან ენამთის ხაშლამაა.

ქიზიყელებო, თქვენი იმედი ნუ მოგვეშალოს!

ავთანდილ ადილეი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— გთხოვთ, საღეგავეგი, ფანქრები, ფუნჯები და ჯიგის დანები აქ დატოვოთ!



— ცხარე ხინკალმა აატირა?
— არა, გაახსენდა, წინათ რა კარგ ხინკალს ვჭამდიო!

ᲣᲡᲪᲔᲜᲐᲠᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ

ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲤᲐᲠᲓᲐ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ მოქალაქეებით სავსე ქუჩა. მდინარესავით მოედინება ამღვრეული წყალი. მისი სათავიდან ცოტა მოშორებით მთად დგას ექსკავატორის მიერ ამოღებული ასფალტი და აყალო მიწა. ამოთხრილი ორმოდან კაცის თავი მოჩანს. ორმოს გარშემო ხალხი შეგროვილა.

ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ: ქვევიდან ამოჰკარი, ბიჭო, ჩაქუჩი!

ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲗ. ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ: მარჯვენა მხრიდან ჩაუთხარე მიწა, თორემ, შეიძლება, კიდევ იყოს სადმე მილი გამსკდარი!

ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ: ძალაყინი უფრო მაგრად გადმოსწიე!

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲘ: ხელით ნუ გადაზომავ დაზიანების ადგილს, ციფრები მიკარნახე და მე გამოვთვლი ტრიგონომეტრიულ სახაზავზე!

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ: ჯერ სველი თითი დაადე, აქ ახლოს კაბელი გადის და ფაზა არ გადადიოდეს სადმე!

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ: დამიძახე, როდის ჩავრთოთ ტუმბო! წყლის დონემ უცებ არ აიწიოს ორმოში, თორემ დაგახრჩობს!

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ: ცხვირით ისუნთქე! შეიძლება, გაზსადენი მილი იყოს დაზიანებული და აირებმა არ გაგგუდოს!

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ: ჯერ ქლიბით გადახერხე მილი!

ᲛᲣᲨᲐ: მადროვეთ, ხალხო! რა გახდა ერთი პატარა მილის დადუღება? თქვენ გისმინოთ, თუ საქმე ვაკეთო? აჰა, მოვრჩი კიდეც!

(ᲤᲐᲠᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲢᲠᲝᲡᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲝᲚᲐᲠᲘᲡ, ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ.).

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ

„სოფელში ხალხი მცირდება!“
ვწერთ გულზე ცეცხლის მოდებით!..
ვინაც ვწერთ,
ყველა, უკლებლად,
დედაქალაქში ვგროვდებით!..

სტრიქონს თუ ლექსად ავასხამთ,
ნიჭით, ან რაღაც განგებით,
ავიკრავთ გუდა-ნაბადსა,
თბილისში გადავბარგდებით!

ფეხს არ მოვიცვლით არასგზით,
თუკი ჩავედით თბილისში!
ყველანი ვრჩებით ქალაქში,
ვრჩებით!..
დარჩენას ვინ გვიშლის?!.

მთაწმინდას ვუახლოვდებით,
ვიბუდებთ ჩიტის ბარტყივით,
მერმე ლექსებით მოვდგებით,
მშობლიურ სოფელს დავტირით!

გვგონია, კალმით, მელანით
სოფლის სატკივარს მოვარჩენთ!
ბევრი ვერ ვნახე მწერალი,
მამის კერაზე რომ დარჩეს.

ხან აღარც გვახსოვს სოფელი
და ბუხრის თბილი ნაცარი,
შესასარ-შესაღობელი,
დასახნავ-დასაფარცხავი!

სტუმრად კი, გაგიხარია,
ხშირად ჩავდივართ ნადიმზე,
რთველს რომ ვუყურებთ ხვავიანს,
ერთად ამოგვდის ასი მზე!

ვქეიფობთ, ვლხინობთ, ვზეიმობთ,
ვლაღდებით,
ვიწყვეტთ აპეურს,
ვიმზადებთ სამუზეუმოდ
ეზო-კარს, მამაპაპეულს!

ძმებო, თუ გვიყვარს სოფელი,
გვიყვარდეს მისი ნაცარიც,
შესასარ-შესაღობელიც,
დასახნავ-დასაფარცხავიც!

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

⊙ **ᲐᲜᲙᲔᲢᲐ** — ორფურცლიანი არ კმარა, ასფურცლიანია საჭირო.

⊙ **ᲒᲐᲪᲔᲛᲐ** — ჯერ მიღება.

⊙ **ᲖᲔᲓᲜᲐᲓᲔᲑᲘ** — ქვედნადების შუანადები.

⊙ **ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲥᲕᲔᲛᲝᲓᲐᲜ** -- ცეცხლი ზემოდან.

⊙ **ᲛᲐᲒᲘᲓᲐ** — მუშტის დასარტყმელი ადგილი.

⊙ **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ** — მაღვიძარაა სამსახურში.

⊙ **ᲛᲣᲨᲚᲘ** — საპანღურე იარაღი.

Ნ. ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐᲫᲔ



— შეხედე, რა პატიოსანი ქალია, შენსავით ქვეყანა კი
არ შეუწუხებია, აიღო და, დამნაშავე ხატზე გადესცა!

ნახ. მ. აბაშიძისა

ოლიმპიადა ანუ ოლიმპიან...

— რატომ? — იკითხავთ, ალბათ. — რა აქვთ საერთელი, თორემ კი?!. თუმცა, მოდით, ჩვენი ბავშვობა გავიხსენოთ, როცა ზღაპრების გმირებს — ბერა ტანოს, მალვინასს, პიეროს და ჯარასას-ბარბასას ვალაპარაკებდით, გავიხსენოთ და მათ ეთაკვენოთ ის, რისი თქმაც ამ ფელეტონით გვინდა. მაშ, აბე:

პიესა ერთ სურათად

მოქმედებანი ეკუთვნიან „თბილისი-ვითარდება.

მოქმედი პირნი: პიერო — სამმაული წარმოების თოკანა.

მალვინა — ისევ სამმაული წარმოების თოკანა.

ჯარასა-ბარბასა — უნივერმაგ „თბილისის“ მთ. ინეინერი ელექტრ. სამეკიდ.

სეირის მაძურებლები — ვაჭრობის სამინისტროსა და სამმართველოს მუშაკები.

იმყოფებული თოკანა.

მალვინა: პიერო, ალარ ძალძიან ჯარასას-ბარბასას უტეშობის ატანას! ამ უნივერმაღში გაჩერება შეუძლებელია! ყერ იყო, და, მისი წყალობით, საწყობებში ამოვაგდო სული, იქ ხომ ვენტილაციი არ მუშაობს. ვიფიქრე, ზემოთ ამოვალ ხელ(ალი და ამ მაინც მეშველებს-მეთქი. აქ კი ჯარეი ამბავი დამხვდა: ზაფხულობით სიცხისა და ეკონომიისგან ვინთოთებით, ზამთრობით კიდევ ეინვი გვთოშავს. შენი სიცარიელი რომ არა, პიერო, ალბათ. აქამდე ამოშხეფილიდა ხელი.

პიერო: ერთ ბიჭეკეში ვართ, მალვინა! თუმცა ჩვენ რა გვეკითხა, უსულო საგნები მაინც ვართ, ამ 450 გამეიფელმა გოგონამ რაფი უნდა ჭქნა? ისინი ხომ ცოცხალი არსებები არიან, სუნთქავენ.

მალვინა: სამრალი გოგონების ო, როგორ ეწამეს მთ ჯარასას-ბარბასა. ნუთუ, 1975 წლის თებერვლიდან, როცა მიმდგმმა კომისიამ ეს შენობა ჩაბარა, არ შეიძლებოდა კონდიციონერის შეკეთება და გაობობის მოწესრიგება?

პიერო: ახა, რას ამბობ, მალვინა?! ბიერის მაკონდიციონერებელ სისტემა ნეტრიაშია. ოღონდ რას ეძახან, ჰო, „ფრეონ—22“, რითაც ბიერის გაცივება ხდება, ვაჭრობის სამმართველოს ვერ უშოვია და კონდიციონერს „ფრეონ-12“-თი ამუშავებენ, ეს კი სამრაოზე ოჯერ ნაკლებ ტემპერატურას იძლევა. ამიტომაა, რომ ჩვენ, ის გამეიფელდი გოგონები დღ ყოველდღიურად უნივერმაღში შემოსული 80 ათასამდე მომხმარებელი ასე ვიტანჯებით. წარმოიდგენთ? დარბაზებში მეკრიანობა, 4 პროცენტის მაკვირდა, 12 პროცენტიანიც...

მალვინა: რა საშინელებაა! ყველაფერი ჯარასას-ბარბასასის ინიციატივ!

იმპერატორი თოკანა (ადგება ტკივილ(ზე): ახა, ახა! ჯარასას-ბარბასაზე ცუდი არაფერი ილეკთ!

პიერო: ეგენ რა ეკონალეკა, ამპერატელი ხარ, დიდხანს მანდ არავინ გაგაჩერებს, ჩვენ უნდა ვიკითხოთ, კიდევ კარგა ხანს რომ მოკალწეულ ამ ჯოჯოხეთში ეოფნა! უნივერმაღში არაფერი არ არის წესრიგზე! რა ეაქა ეხალატორები, რომლებიც პროექტის მიხედვით იყო გაოკალსწორებენელი? სამოკალაკი ლოტტები არაა და სატკირიოებიც ზზრიად გამოიყენ მწყობიდან, ფანჯრები კი ამიტომ არ ილება, რომ დარბაზებში კონდიციერებელი ბიერია გაოკალსწორებელი. დარბაზების სამრალი მუშაკებმა, ეოტკთი მაინც რომ ეხუთნეთ სუფთა ბიერი, ფანჯრების ქვეშა მიწეს ამოიღეს, ბოდი, ეუშინ ერი მომხმარებელს კინალ ბავშვი გადაეფარა. 1975 წლიდან დღემდე 297 გამეიფელი წვიდა უნიერმაღიდან, შრომის აუტანელი პირობების გამო.

მალვინა: რა საშინელებაა, რამე უნდა ვიღონოთ! (ამპერტელი თოკანა ჯარასა-ბარბასას ატეობინებს. მალვინა და პიერი შეეხვეჭიანებენ. შემოდის გამეიფელი ჯარასა-ბარბასა).

ჯარ. ბარბასა: ამა, ბაუვეფრებსაც ბეღავთ?! მე თქვენ გიჩვენებთ!

მალვინა. დიახ, ეგელა-ჯარასას-ბარბასას ვიტანჯებით! ასე ალარ შეიძლება არსებობა! მოვალეცი ბიერი, რომ ვასუნთქოთ ჩვენც, ამ შვიდას ორმოცდაათმა თანამშრომელმა და ოცდაათი ათასამდე მომხმარებელმაც! მაშინ ეეგმაც შეხედულები და ალარც შენზე ვილაპარაკეთ ალარ!

ჯარ.-ბარბასა: ბაკრი?! ეგ რომ გაგიკეთოთ, მერე მომთოოვთ საბპაეეების მოწესრიგებას, ეიბის ფერეიდ ბის განთეფსას, შემოსახვდელი კარების გალაკეთებას!.. მაშ, მიიღეთ ახა, თქვენ ბიერი, ბუნკეთოოვებო! (ეარ ა-ბა-ბ-ბ-ბ

ნახ. გ. ფირცხალავასი

— თანახმა ხართ დედათქვენი ცოლად გაჰყვეს ამ პატივცემული მოქალაქის მამას?

აიწონა, დაიწონა

ეს ამბავი ზღაპარსა ჰგავს და ვერავის გავუწყრებით,
თუმცა, ერთ-ერთ უწყებაში, მოხდა საქმე ნაუწყები.

დაინიშნა თათბირები, მოხდა გაცვლა აზრებისა,
დღის წესრიგით: „მორალური სახე ჩვენი კადრებისა".

ბევრი ითქვა. ბოლოს, ერთი დაიხვიეს საქმე ხელზე.
თქვეს პირდაპირ, მისამართით, სამმართველოს ხელმძღვანელზე.

რომ უფროსმა სამმართველო სულ პირწმინდად გაცალაო,
ჯერ აგური გაასაღა, მერე — ხე-ტყის მასალაო,

მაგრამ ფაქტი რომ არა გვაქვს მისი დანაშაულისო,
რევიზიამ შეამოწმა, არ დააკლდა შაურიცო!

ვიღაცამ თქვა, მოდით, საქმეს ნუ გავიხდით საშაროდო,
რაკი უფროსს ვერას ვაკლებთ, სამმართველო დაჭშალოთო,

იმ მმართველის სამმართველო გავზარდოთ და გავავრცელოთ
და ერთ უბნად შევუერთოთ ამ მმართველის სამმართველო.

აზრი ყველას მოეწონა, მარტივი და გასაგები,
დაიწერა ქაღალდები, ბარათები, პატაკები...

ზევით-ქვევით, ქვევით-ზევით, აიწონა, დაიწონა,
ყველამ ვიზა უწყალობა, არავინ არ დაიწუნა.

დაიშალა სამმართველო, უმიზეზოდ დაისაჯა,
ეს მმართველი შემცირდა და ის მმართველი გაიზარდა...

და შემცირდა, თქვენ გგონიათ? რადგან „საქმე" იცის მთელი,
იმ ძველ მმართველს მოადგილედ დაუნიშნეს ეს მმართველი!

დავით მჯიღლური



— ვალიკო, ვალიკო! — მამალივით ყიოდა დილაადრიან ეზოში ფოსტალიონი.

— დაყრუვდი, კაცო?! არ გესმის?! ადექი, ჩქარა, გაიხედე! — დამიღრიალა კოლმა.

ხმა არ ამომიღია, პიჟამო გადავიცვი და გარეთ გამოვვარდი.

— ვალიკო. შენ ხარ? — უხეშად შემეკითხა ფოსტალიონი.

— ამდენი ხანია აქ ვცხოვრობ და, ჩემი სახელი ვერ ისწავლე?

— შე კაი კაცო, ქვეყანაზე რამდენი ვალიკოა, ყველა სად ცხოვრობს, რა ვიცი მე! — ცალყბად მიპასუხა ფოსტალიონმა, დაჭმუჭნილი დეპეშა ხელში შემომაჩეჩა და წავიდა.

„ბებია გარდაიცვალა ჩამოდით სასწრაფოდ" — წავიკითხე.

„ვაიმე, ბებიავ! — წამოვიძახე და სახლში შევვარდი.

— რა მოხდა, კაცო, რაშია საქმე?! — წამოიკივლა კოლმა და ლოგინიდან წამოფრინდა.

— ოხ, ოხ, ოხ, ოხ, ეს რა მომივიდა! — ვბუტბუტებდი ბაგეაცახცახებული.

— ხმა ამოიღე, შე დასადუმებელო, თორემ გავგიჟდები და სკამს დაგამტვრევ თავზე!

იმ წუთში არც ცოლის გაგიჟების შემშინებია, არც თავზე სკამის დამტვრევის, მაგრამ მის თვალებს რომ შევხედე, გონს მოვედი და ჩავილუღლუღე:

— ბებია მომკვდარა!

— რა მოხდა მერე, შე კაცო, სამოცდაექვსი წლის ქალი მოკვდებოდა, აბა რა!

— შენ რა გენაღვლება ჩემი გამზრდელი ბებია. — ჩავილაპარაკე და ტახტზე ნახევრად გულშეღონებული მივესვენე.

— კარგი, კარგი, მთლად ნუ გასულელდი ამ ბოლო დროს! მოკვდა, თორემ დიდ რამეში გამოგვადგებოდა!

— დაანებე თავი, მკვდარზე მაინც ნუ იტყვი აუგს! — ვუთხარი იმ ჩემი ცოდვით სავსეს და ცრემლიანი თვალებით შევხედე.

— აბა, სჯობია ოხვრას თავი დაანებო! ნახე, როდის ასაფლავებენ. მანამდე მე იქ ჩამსვლელი არა ვარ. კეთილი ინებონ შენმა ძმამ და რძალმა და ორგანიზაცია უყონ დასაფლავებას. ეს ქელეხები ქე მოშალეს, გადასახურავი რომ იყოს, კიდევ ღირდა, შემოსავლის ნახევარი მაინც დაგვრჩებოდა.

დეპეშა ამოვიღე და ისევ გადავიკითხე:

„ბებია გარდაიცვალა ჩამოდით სასწრაფოდ ნიკიფორე".

— ა? არა, არა, — წავილუღლუღე, ცრემლები სწრაფად გამიქრნენ თვალებიდან.

— როდის ასაფლავებენ? — არ მეშვებოდა ცოლი.

— ა? არა, ბებია არა, — წავილუღლუღე, შენი ძმის დეპეშაა.

— მაშ, ვინ არის, ვინ?! — დეპეშა ხელიდან გამომგლეჯა, სულმოუთქმელად ჩაიკითხა და ისე იკივლა, ვიფიქრე, ნამდვილად ჭერ-ფანჯრები ჩამოიქცევა-მეთქი...

სახლი მეზობლებით აივსო. მე ვიდექი ნაწილობრივ დამშვიდებული. რაღა დაგიმალოთ და, არც ბებიამისის სიკვდილი გამხარებია, რადგან ვიცოდი, რა დიდ თანხას წარმართმევდა მისი დასაფლავება.

— ვაიმე, ვაიმე, როგორ უდროოდ დამეღუპე! — გაჰკიოდა ცოლი.

— რამდენი წლის იყო? — შემეკითხა ერთი მეზობელი.

— სამოცდაათის.

— ჰო, მე უფრო ახალგაზრდა მეგონა...

საათნახევარს გაგრძელდა მისი მოთქმა-გოდება. ბოლოს ხმაც ჩაუწყდა და ძალაც გამოელია, მეზობლები თითო-თითოდ გაიკრიფნენ ოთახიდან. კარგა ხანს იჯდა გაშტერებული. მეც ვახევებული ვიდექი და ხმას არ ვიღებდი.

— რას გაშტერებულხარ?! სალაროში გაიქეცი და ათასი მანეთი გამოიტანე! — დამიღრიალა.

ხმაგაკმენდილი გამოვვარდი გარეთ და სალაროსკენ გავიქეცი.

ახლა მე და ჩემს მეუღლეს მატარებელი სოფლისაკენ მიგვაქროლებს. ბებიამისის ქელეხის გადასახდელი ფული ჯიბეში მიდევს, მაგრამ ფულს არ ვდარდობ, ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: ჩემი ცოლი ისე დაუზოგავად იგლეჯს თმებს, თუ ცოცხალი გადარჩა, ვიცი, გამელოტებას ვერ გადაურჩება...

ბიქტორ ლეჟავა

იან სმიტის რასიატული რეჟიმი მუდმივ სამხედრო დახმარებას იღებს ისეთი „პარტნიორებისაგან“, როგორებიც არიან დიდი ბრიტანეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები.

ნახ. გ. ლომიძისა

იმპორტული განანი

№ 358
1.VI 77

მკითხველთა საყურადღებოდ!

რამდენი ხანია, ტაქსში არ მჯდარ ხართ? იჯექით? მაშინ უსათუოდ ნახავდით ასეთ განცხადებას:

„მგზავრთა საყურადღებოთ! მგზავრთა კუთვნილი ხურდა ფულის მიღება წარმოებს თვით მგზავრთა მიერ“.

„ნიანგი“ თავს იკავებს კომენტარისაგან და მკითხველებს ურჩევს, ზემოხსენებული განცხადებიდან აზრის გამოტანა იწარმოოს თვით მკითხველთა მიერ.

ტია-ტია

სამედიცინო ლექსიკონი

⊙ **ვალიდოლი** — გულის ჯიბეში თუ გიდევს, გული საგულეშია.

⊙ **თერმომეტრი** — შენ სიცხე ხომ არა გაქვს?

⊙ **კოსმეტიკა** — სამედიცინო „შპაკლიოვკა“.

⊙ **გრიპი** — მოდასავითაა: ზოგჯერ მთელ მსოფლიოს შემოივლის.

გიგლა გახტაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი

— კაკალმა მეხი იცის! მანდ რატომ რბევთ?!
— ამაზე მეტი მეხი რალა იქნება, გაზარში კილოგრამი თხუთმეტი მანეთი ღირს!

წყალში ვზივართ და წყალი გვენატრება! გვწერდნენ ბათუმიდან სარაჯიშვილის ქუჩის მცხოვრებნი. აღნიშნული წერილი რედაქციამ ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. აღმასკომმა გვიპასუხა: „...სარაჯიშვილის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, სასმელი წყლის ნაკლებობის შესახებ, — შემოწმებით დადასტურდა.

აღმასკომის „წყალკანალტრესტს“ დაევალა აღნიშნული ქუჩის წყალმომარაგების საკითხის მოსაგვარებლად მ/წლის პირველ კვარტალში გაიყვანოს ახალი მილსადენი“.

—:—:—

კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკიდან გვატყობინებდნენ: „...ყოველდღე გვიხდება ყოველდღიური მოთხოვნილების სურსათისა და საგნების ყიდვა. ჰოდა, ყოველდღიურად გვეშლება ნერვები, აქ შექმნილი უწესრიგობის გამო.“ რედაქციამ წერილი საქ. კპ კასპის რაიკომს გადაუგზავნა, საიდანაც პასუხი მივიღეთ: „...განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სოფელ ქვემო ხანდაკის ყოველდღიური მოთხოვნილების მაღაზიის გამგე-გამყიდველის ც. ვ. მეკრევიშვილის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. იგი განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან“.

ჟ. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა
Индекс 76137



ზოგიერთი ფერმის მექანიზაცია

ნახ. გ. ლომიძისა

77-358

მთავარი რედაქტორი **ზურლან გემაზაშვილი** სარედაქციო კოლეგია: **ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე), **ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია** (მხატვ. რედ.), **გ. ნიშნიანიძე, ზ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **გ. ფირცხალავა, ო. ჩელიძე.** ⊙ **ტექნიკური რედაქტორი** მ. კუხალაშვილი, ⊙ **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.** ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 22/IV-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1444.უე 00696 ტირ. 141.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორე-ბი: მ. აბაშიძე, ვ. კუცია, მ. მჭედლიშვილი, მ. ცოტა-ძე, ს. ჯაფარიძე.